დანართი N1

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2021 წლის 20 12 N 49 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო (შემდგომში – ,,სამდივნო“) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

2. სამდივნო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ'' საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სხვა სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

თავი II

სამდივნოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

სამდივნოს შემადგენლობა

მუხლი 2

1. სამდივნოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისათვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევითა და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით;

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თათბირების, შეხვედრებისა და მიღებების (მათ შორის მოქალაქეთა მიღების) ორგანიზება;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სახელზე შემოსულ კორესპონდენციებზე პასუხების მომზადება დავალების შემთხვევაში;

დ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ცალკეული დავალებების შესრულება.

2. სამდივნოს შემადგენლობაში შედიან საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, ამ დებულებით, შესაბამისი ხელშეკრულებებითა და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით.

3. სამდივნოს შტატებს, შრომის ანაზღაურებას და სამუშაო პირობებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების შესაბამისად, განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. სამდივნოს საჯარო მოსამსახურეებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

თავი III

სამდივნოს მართვა

მუხლი 3

1. სამდივნოს ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს უმღლესი საბჭოს რეგლამენტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, ამ დებულებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სამდივნოს უფროსს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. სამდივნოს უფროსი არის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამდებობის პირი.

4. სამდივნოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამდივნოს საქმიანობას და პასუხს აგებს დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისათვის;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამდივნოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს სამსახურეობრივ კორესპოდენციას დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;

დ) უფლებამოსილია სამდივნოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) უზრუნველყოფს სამდივნოს ურთიერთობას უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და ფრაქციების აპარატებთან.

5. სამდივნოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამდივნოს უფროსის მოვალეობას დროებით ასრულებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე.

თავი IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 4

1. სამდივნოს დებულებას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსის წარდგინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამდივნოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსის წარდგინების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.